ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №809816

ნომერი: AR1145961

თარიღი : 11.07.2013

გაცემის თარიღი : 31.07.2013

გაცნობის თარიღი : 01.08.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , კვარტალი II , კორპუსი N7-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- აკაკი კუჭაშვილი პ/ნ 01019017918
- თბილისი ჭ.ბენდელიანის ქ. კორ. 1ა ბ. 15

ორგანიზაცია:
- გიითი ინვესტი კოდი: 404998277

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.05.2013 წლის №682491 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

11.07.2013 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს №AR1145961 განცხადებით მომართა შპს „გიითი ინვესტი“-ს დირექტორმა აკაკი კუჭაშვილმა და გურამ გოგიტიძემ და მოითხოვეს სამსახურის 10.05.2013 წლის №682491 ბრძანებაში დამკვეთად საპროექტო ობიექტის ახალი მესაკუთრის შპს „გიითი ინვესტი“-ს დაფიქსირება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 10.05.2013 წლის №682491 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზ. მეორე კვარტალი, კოპუსი #7-ის მიმდებარედ, მოქალაქე გურამ გოგიტიძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. საკ. კოდი N 01.14.03.006.003) შერეული ფუნქციის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, საოფისე) შენობა ნაგებობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აქტში დამკვეთად მითითებულ იქნა გურამ გოგიტიძე.
განმცხადებელმა სამსახურში წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რომლის თანახმადაც, საპროექტო ობიექტს ჰყავს ახალი მესაკუთრე შპს „გიითი ინვესტი“.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
ვინაიდან, დღეისათვის საპროექტო ობიექტს ჰყავს ახალი მესაკუთრე შპს „გიითი ინვესტი“ სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს დამკვეთის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს აკაკი კუჭაშვილისა და გურამ გოგიტიძის 11.07.2013 წლის № AR1145961 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისი მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.05.2013 წლის №682491 ბრძანებაში, კერძოდ: დამკვეთად დაფიქსირდეს შპს „გიითი ინვესტი“;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისი მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.05.2013 წლის №682491 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარატავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.